

აქტიური განრიდების ამოცანაში შეუღლებათა რაოდენობის გავლენა
კამინის ეფექტზე

თამთა ნეკაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და მედიცინის
ფაკულტეტზე ნეირომეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა,
მიმართულება: ნეირომეცნიერებები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნიკოლოზ ონიანი, სრული პროფესორი, ბმად

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნაშუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამთა ნეკაშვილი

7 ივლისი 2019

აბსტრაქტი

ლეონ კამინმა (Kamin, 1957) შეისწავლა მეხსიერება, არასრულად დასწავლილი აქტიური განრიდების ამოცანის საშუალებით, სადაც თითოეული სესია მოიცავდა 25 შეუღლებას. კამინმა მონაცემების ანალიზის შედეგად მიიღო U-ს ფორმის გახსენების მრუდი, სადაც თავდაპირველი დასწავლიდან 1 საათის შემდეგ დაფიქსირდა გამოვლენილი სწორი პასუხების მკვეთრი შემცირება.

აღნიშნული ნაშრომის მიზანი იყო იმის შესწავლა, თუ რა გავლენას ახდენს კამინის ეფექტზე შეუღლებათა უფრო მცირე რაოდენობა. ამისათვის, ორმხრივი აქტიური განრიდების ამოცანაში ვირთაგვას წარედგინებოდა 18 შეუღლება, რომელიც მეორდებოდა დროის გარკვეული ინტერვალის შემდეგ. კვლევა ჩატარდა ზრდასრულ, თეთრ, უჯიშო, ორივე სქესის ვირთაგვებზე.

მიღებული შედეგები აჩვენებს, რომ შეუღლებათა შემცირებული რაოდენობის პირობებში ნარჩუნდება კამინის ეფექტის გამოვლენა, თუმცა მას ახასიათებს განსხვავებული კანონზომიერება. კერძოდ, კამინის ეფექტი ხანგრძლივდება დროში და გახსენების მრუდზე მინიმალური წერტილი ფიქსირდება თავდაპირველი დასწავლიდან 4 საათის შემდეგ.

ძირითადი საძიებო სიტყვები: მეხსიერება, აქტიური განრიდება, კამინის ეფექტი, შეუღლებათა რაოდენობა.

Abstract

Leon Kamin (Kamin, 1957) studied memory processes in an incompletely learned avoidance task, with 25 learning trials in each session. The data obtained by Kamin resulted in U shaped retention curve. The decrease of avoidances has been revealed after an hour interval from the original learning.

The purpose of the present study was to identify the influence of reduced learning trials on Kamin effect. In a two-way active avoidance task, the rats completed 18 learning trials. After the intersession interval, the trials have been repeated. The testing subjects were inbred albino, adult, laboratory rats both male and female.

The data indicates that despite the maintenance of Kamin effect when reduced learning trials are administered, the dynamic of retention curve is different. The manifestation of Kamin effect extended and the retention curve reached its minimum point after 4 hours from original learning.

Key words: Memory, Active avoidance, Kamin effect, Number of learning trials.